დინამოელები მეოთხედფინალში გავიდნენ

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 27 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “ჩერნომორეცი” (ოდესა) 2:1 (0:0).

“დინამო”: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ებრალიძე, გუცაევი, გ. ნოდია, გ. მაჩაიძე.

“ჩერნომორეცი”: ნეფიოდოვი, ნეჩაევი (საპოჟნიკოვი), ლეშჩუკი, ლოგვინენკო, ზუბკოვი (მაკაროვი), ფეიდმანი, ბუტენკო, გრიგორიევი, ტომაშევსკი, ივანენკო, კულიჩენკოვი.

მსაჯი: პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

იშვიათად ჰქონია რომელიმე ფეხბურთელს ისეთი სწრაფი და აღმავალი სპორტული კარიერა, როგორც თბილისის “დინამოს” თავდამსხმელს ვლადიმერ გუცაევს. ახალგაზრდა ფეხბურთელი 1970 წელს შეამჩნიეს და რამდენიმე მატჩი ანდეს დინამოელთა სათადარიგო გუნდში. 1971 წელს იგი უკვე ძირითად შემადგენლობაში იყო, ერთი წლის შემდეგ კი სსრ კავშირის პირველ ნაკრებში მოხვდა და სეზონის შედეგებით პირველ ფეხბურთელად გავიდა მარჯვენა ფლანგზე 33 საუკეთესოთა შორის.

ასეთი პროგრესი თავისთავად იშვიათი მოვლენაა, მაგრამ ცალკე აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის, რომ გუცაევმა სულ ორიოდე სეზონის მანძილზე არა მარტო მწვრთნელთა და სპეციალისტთა შორის პოვა აღიარება, არამედ ფეხბურთის მოყვარულთა და მაყურებელთა საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. ეს კი გაცილებით უფრო დიდი და ძნელი საქმეა. მაყურებელი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოყოფს ხოლმე გუნდიდან ვინმეს და თავის სიმპათიებს მიუძღვნის მას. გუცაევმა ეს სიმპათიები დაიმსახურა არა მარტო თავის მშობლიურ თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც.

მაგრამ შარშანდელ სეზონში გუცაევმა როგორღაც უცბად უკლო თამაშს, გაუფერულდა, ჩრდილში მიდგა. მთელ რიგ მატჩებში იგი, უბრალოდ, პასიურობდა, თავს არიდებდა ბრძოლას, განსაკუთრებით, თუ უშუალო მეტოქედ ძალისმიერი, მკაცრი მცველი შეხვდებოდა.

და აი, ახლა ყველანი გუცაევის ხელმეორე “საფეხბურთო დაბადების” მოწმენი ვართ. მან შესანიშნავად ითამაშა ჯერ ერევნის “არარატთან”, მერე კი “ჩერნომორეცთან” და ნათლად დაგვანახა, თუ რა პოტენციური შესაძლებლობები აქვს, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია კოლექტივისთვის. მის ინდივიდუალურ თვისებებს დაემატა მაღალი ბრძოლისუნარიანობა, სპორტული ჟინი, გამბედაობა, შეუპოვრობა. ამ ორ მატჩში გუცაევს გაძლიერებული ძალებით ებრძოდნენ ერევნელებიც და ოდესელებიც, მაგრამ ყველა ცდა მისი გარღვევების წინააღმდეგ ამაო იყო. დინამოელთა თავდამსხმელმა ფინტების რამდენიმე ისეთი სერია ჩაატარა, რომ მეტრეველიც სიამოვნებით მოაწერდა მათ ხელს.

57–ე წუთზე გუცაევმა მარცხენა ფრთაზე გადაინაცვლა, უდიდესი სისწრაფით მოიტოვა ზურგს უკან ლეშჩუკი, ნეჩაევი, ლოგვინენკო, გამოიტყუა კარიდან ნეფიოდოვიც და ზუსტად დაარტყა მიზანში.

75–ე წუთზე გუცაევმა ასევე ოსტატურად ითამაშა ანალოგიურ სიტუაციაში, ერთიანად არია “ჩერნომორეცის” დაცვის რიგები და, როგორც იტყვიან, “ხონჩით” მიართვა ბურთი გ. ნოდიას გასატანად.

როცა ყველაფერს ამას ვლაპარაკობთ გუცაევზე, იმის იმედი გვინდა გამოვთქვათ, რომ იგი თავის დღევანდელ საუკეთესო ფორმას სტაბილურად აქცევს და დიდ სამსახურს გაუწევს გუნდს.

თასის განმეორებითს მერვედფინალურ მატჩში თბილისის "დინამო" არ იდგა რამდენადმე მაინც რთული პრობლემების წინაშე. "ჩერნომორეცთნ" ოდესაში მას პირველი თამაში მოგებული ჰქონდა ანგარიშით 2:0 და საჭირო იყო ამ მიღწევის შენარჩუნება.

პირველი ტაიმი საკმაოდ უფერული გამოდგა, ვინაიდან სტუმრებიც საერთო წაგებას შერიგებული ჩანდნენ და მასპინძლებსაც მაინცდამაინც არ გამოუდევთ თავი. შესვენების შემდეგ ოდესელებმა ორი ცვლილება მოახდინეს შემადგენლობაში და შეტევაზე გადავიდნენ. დინამოელებმა მიიღეს ეს გამოწვევა, კარგად ორგანიზებული დაცვიდან იერიშზე გადავიდნენ და კიდევ ერთხელ დაამარცხეს "ჩერნომორეცი". გუცაევისა და ნოდიას ზემოხსენებულ ორ გოლს სტუმრებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს, რომელიც გრიგორიევმა გაიტანა 63–ე წუთზე.

წინაა მეოთხედფინალური მატჩი, სადაც თბილისელებს თავიანთ ძველ მეტოქესთან – მოსკოვის "დინამოსთან" უწევთ ბრძოლა.

ბ. ქორქია.
"ლელო", 29 მაისი, 1974 წ.